ცნობის ფურცელი

№ 1709 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 კვირა, 27 იანვარი № 1709

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“** ტელეფონი № 372.

ამ №-თან ხელის-მომწერლებს ურიგდებათ სურათებიანი დამატების მე-25 №-რი.

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ-გარეთ:
1 წლით . . 10 მ.	1 წლით . . 13 მ.
6 თვით . . 6 „	6 თვით . . 7 „
3 „ . . 3 „	3 „ . . 5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ-გარეთ:
1 წლით . . 6 მ.	1 წლით . . 9 მ.
6 თვით . . 5 „	6 თვით . . 7 „
1 „ . . 75 კ.	1 „ . . 90 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატება** და „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნებად, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი** № 372.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“**

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. ვ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1\frac{1}{2}$—2 საათამდე.

ხტ. ალ. ვოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვების 5—6 საათამდე.

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

დამ-დამობით ექიმების მორიგეობაა, დამის 9 საათიდან დილის 7 საათამდე. მსურველთ შეუძლიათ სახლშიაც წაიყვანენ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ.)

სამხატვრო კლასები
ო. ი. შმერლინგისა და ნ. ვ. სკლიფასოვსკისა

(სემიონოვის ქუჩა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგ. სახლი) ამზადებენ სამხატვრო სკოლებისათვის და უმაღლეს სპეციალურ სამხატვრო სასწავლებლებისათვის.

მიიღებიან საღამოს 5-თი საათიდან 7 საათამდე. (5—4)

ქართული თეატრი

კვირას, 27 იანვარს, 1902 წელს

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

დაკლებულის ფასებით

I

არსენა

დრამა 3 მოქ. ა. ყაზბეგისა.

II

ხანუმა

კომედია 3 მოქ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ლეჟავა, ნებიერიძისა, მდივანი; ბ.ბ. სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე, სარველაძე, ბეგლარიძე, იორდანოვი, მოურავიშვილი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები დაკლებულია.

მზადდება ს. სვიმონიძის საბენეფისოდ ახალი პიესა „სოდომის წარღვნა“.

რეჟისორი **ვ. გუნია**

ექიმი

ვახტანგ ღამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

საყურადღებო საქმის გახსენება

წელს შესრულდა 25 წელიწადი მას შემდეგ, რაც ჩვენი უნიჭიერესი მსახიობი, ვასილ ალექსის აბაშიძე, (ანუ ვასო აბაშიძე, როგორც მას მთელი საქართველო უწოდებს) ქართულ სცენის სამსახურს შეუდგა.

ეს დღესასწაული დიდათ საგულისხმიერო არის მთელის ჩვენის ქვეყნისათვის. ქართულმა თეატრმა მეტად თვალსაჩინო როლი შეასრულა ქართველთა თვით ცნობიერების გაღვიძებისა და განვითარების საქმეში. ამ მხრით ჩვენი თეატრი ისეთივე საპატიო ადგილს დაიჭერს ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და განვითარების ისტორიაში, როგორსაც ჩვენი ახალი ლიტერატურა. როგორც ჩვენმა ლიტერატურამ იკისრა ქართველთა წარსულის შესწავლა და შეგნება, ხოლო თანამედროვე ცხოვრებაში ახალის გზის გაკაფვა ეროვნულსავე ნიადაგზე და ამასთანავე მომავლისათვის საუკეთესო იდეალების გავრცელება ხალხში, ისე ჩვენმა თეატრმაც საგნად დაისახა ხელოვნების საშუალებით წარსულის მოგონება, თანამედროვე ცხოვრების დახატვა-დასურათება და საუკეთესო მომავლისაკენ გზის ჩვენება.

ლიტერატურა და თეატრი არიან დღეს ჩვენი ნუგეში, ჩვენი ტაძრები, სადაც ქართული ენა მეფობს და ცოცხლობს, სადაც ეროვნული იდეალი იწრთვნება და მაგრდება, სადაც ხალხის თვით ცნობიერების გაღვიძებისა და განვითარების საქმე კეთდება. ამიტომაც ლიტერატურისა თუ თეატრის დღესასწაული ჩვენთვის უფრო საყოველთაო საერო დღესასწაული, ვიდრე სხვებისათვის.

სწორედ ეს გარემოება ვალად სდებს ქართველობას ღირსეულად იდღესასწაულოს სათეატრო იუბილეი და შესაფერისი პატივი სცეს სამშობლო სცენის საუკეთესო მოღვაწეს, მის დამამშვენებელსა და სულის ჩამდგმელს. ტფილისის ქართველი საზოგადოება კიდეც შეუდგა სამზადისს და მისი წარმომადგენელნი უკვე იხილავენ საკითხს, თუ როგორ მოაწყონ და რითი აღნიშნონ საყურადღებო იუბილეი; ჩვენ ვიწვევთ პროვინციის ქართველობასაც—მონაწილეობა მიიღონ ამ საერთო დღესასწაულში.

ამასთანავე საჭიროდ მიგვაჩნია ვსთქვათ, რომ ამგვარ დღესასწაულებს მხოლოდ მაშინ აქვთ მნიშვნელობა, როდესაც ისინი საუკუნოდ სახსოვარ საქმეს სტოვებენ. გარეგანი დღესასწაულობა—ოვაციები, ნადიმი და სიტყვები—არაფერს არ ეუბნებიან არც ერის გულსა და არც მის გონებას. რამდენად უფრო მნიშვნელოვანია დღესასწაული, იმდენად უფრო საჭიროა მისი ღირსეულად აღნიშვნა რაიმე კეთილის და სასარგებლო აქტით. ამიტომ ჩვენ გვსურს კვლავ გავახსენოთ ჩვენს საზოგადოებას ერთი ფრიად საყურადღებო პროექტი, რომელიც კარგა ხანია ელის განხორციელებას. ჩვენ ვამბობთ არტისტებისა და სცენის მოღვაწეთა უზრუნველყოფობის საქმის შესახებ.

ამას წინად ქართულ თეატრის აგრეთვე სახელოვანმა მოღვაწემ, მ. მ. საფაროვ-აბაშიძისამ, მიჰმართა ქართულ დრამატიულ საზოგადოებას და სთხოვა პენსიის დანიშვნა. დიდია ამ არტისტის ღვაწლი ჩვენის თეატრის წინაშე და, თუ ის დღეს გაჭირვებაშია, საზოგადოება სწორედ მოვალე იყო დახმარება აღმოეჩინა მისთვის, მაგრამ, უბედურებაც ის არის, რომ ამისთვის ღონე არ შესწევდა, და ძალა-უნებურად უარი უნდა ეთქვათ. ეს უარი ხელზე დაიხვიეს ჩვენმა სხვა-და-სხვა „კეთილის მყოფელებმა“, როგორიც, მაგალითად, „ჩერნომორ. ვესტნ.“-ა და სასაცილოდ აგვიგდეს: ეს რა საზოგადოება არის, რომელსაც ერთი მსახიობისთვისაც კი ვერ გაუწვდია დახმარების ხელიო! სამწუხაროდ, ჩვენ ეს საყვედური დავიმსახურეთ...

ჩვენს საზოგადოებას არა ერთხელ ჰქონია შემთხვევა დარწმუნებულიყო, რამდენად საჭიროა ამ საქმის მოწყობა. როდესაც სცენის რომელიმე მოღვაწე დასნეულდებოდა ისე, რომ სამსახურის გაგრძელება არ შეეძლო (თამაზოვი, გალუსტოვი, ბარბ. ავალიშვილისა და სხვანი), როდესაც რომელიმე მათგანი გარდაიცვლებოდა და ობლებს სტოვებდა უპატრონოდ (გალუსტოვი), საზოგადოება საფიქრებელში ვარდებოდა: უთუოდ საჭიროა მსახიობთა უზრუნველყოფობის საქმის მოწყობაო, მაგრამ მეორე დღესვე ივიწყებდა „მწარე მომენტებს“ და საქმეც მოუწყობელი დარჩა.

ჩვენის აზრით, მომავალი საიუბილეო დღესასწაული სწორედ შესაფერისი დღეა ამ საჭირ-ბოროტო საქმის მოსაწყობად. უკეთეს საშუალებას ვერ ვიპოვნით, რომ ღირსეული პატივი ვსცეთ ჩვენს სახელოვანს მოღვაწეს, თუ ხსენებულ საყურადღებო პროექტს განვახორციელებთ და მისის სახელით აღვნიშნავთ ახალს საქმეს. ამასთანავე იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ სწორედ ამ დღეს უფრო ადვილი მოსახერხებელი იქნება ეს საქმე, ვიდრე სხვის. შეიძლება ტფილისშიაც და ჩვენის ქვეყნის სხვა ადგილებშიაც გაიმართოს საიუბილეო წარმოდგენები და ამ რიგად შეგროვდეს თანხა, რომელიც საფუძვლად დაედება „ვასო აბაშიძის სახელობის დამხმარებელს კასსას“.

საჭიროა ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს დრამატიულის საზოგადოების გამგეობამ და ითავოს მომავალის იუბილეისთვის მისი გამოწყობა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ თაოსნობა ენერგიული იქმნება, საქმეს ყველგან თანაგრძნობით მიეგებებიან და ბოლოს განხორციელდება პროექტი, რომელიც ღირსეულად აღნიშნავს ჩვენის თეატრის დღესასწაულ დღეს.

საზღვარ-გარედ

ავსტრ-უნგრეთი. გერმანელები განა მარტო ჩეხური უნივერსიტეტის დაარსების წინააღმდეგნი არიან. ეხლა საშუალო სკოლების წინააღმდეგაც გამოულაშქრიათ. გერმანელებს მოუთხოვნიათ: ცილიში რომ სლოვენთა გიმნაზიაა, ტროპაუში ჩეხური, ტეშენში კიდევ პოლონური, ყველა ეს გიმნაზიები ამ ქალაქებიდან სხვა ქალაქებში უნდა გადაიტანონო. თუმცა ეს ქალაქები მცხოვრებლების ეროვნებისა და ადმინისტრაციული პირობების მიხედვით გერმანულ ქალაქებად არ ჩაითვლება, გერმანელებს მაინც თავიანთ საკუთრებად მიაჩნიათ. პოლონელებმა უარი უთხრეს გერმანელებს, საბიუჯეტო კომისიაში მაგ თქვენ მოთხოვნილებას ვერ მოვემხრობითო. ამიტომ გერმანელების ჯიუტობიდან იქნება არა გამოვიდეს რა, მაგრამ გერმანელებმა თავიანთი მუდმივი მუქარით ისე შეაშინეს პირველი მინისტრი კერბერი, რომ სწორედ აღარა იცის, როგორ მოიქცეს. ამიტომ ჩეხებმაც გადასწყვიტეს, რომ ამას იქით თავიანთი უფლება ისევ მხნედ დაიცვან. მლადოჩეხების კლუბი ეხლა იმის თაობაზე ბჭობს, თუ პარლამენტში რანაირ ტაქტიკას დაადგეს მლადოჩეხების დასიო.

✡ გერმანელებმა ბეჯითად მოსთხოვეს საერო განათლების მინისტრს გარტელს, რომ საბიუჯეტო კომისიაში ხელ-მეორედ განემარტა, თუ რანაირად უყურებს მთავრობა ჩეხური უნივერსიტეტის დაარსების საქმესაო. მინისტრმაც აასრულა ეს თხოვნა და საბიუჯეტო კომისიაში ხსენებული უნივერსიტეტის თაობაზე ილაპარაკა. მინისტრმა სთქვა: ჩეხების თხოვნა, რომ მორავიაში ჩეხური უნივერსიტეტი დაარსდესო, ყველაფრით კანონიერი თხოვნააო, რადგანაც ეს ქვეყანა განათლებული, მშვიდრად დასახლებული და შეძლებული ქვეყანააო. მართალია, ეხლა სხვა უნივერსიტეტების გაფართოვებისათვის ბევრი ფულია საჭირო და ამ მხრივ ჩეხური უნივერსიტეტის დაარსება გაძნელდებაო, მაგრამ მე მაინც მზადა ვარ ჩეხების მოთხოვნა ავასრულოო, თუ კი, რასაკვირველია, ორივე ერი (ჩეხები და გერმანელები) შეთანხმდებიან ამ საქმის თაობაზეო.

უფრო გასაგებად რომ ვსთქვათ,—მთავრობა მხოლოდ გერმანელების თანხმობით დააარსებს ჩეხურ უნივერსიტეტს.

იტალია. გაზეთები იუწყებიან: ამ ბოლოს დროს რკინის გზის მოსამსახურეები უფრო შერიგების გუნებაზე არიანო. მოსამსახურეები მთავრობის მუქარამ როდი შეაშინა; ამათ გაიგეს, რომ ხმელთა-შუა ზღვის რკინის გზის საზოგადოებას გადაუწყვეტია, მოსამსახურეების ზოგიერთი თხოვნა მაინც შეასრულოსო: საზოგადოებას ორი მილიონი გადაუდვია, რომ მოსამსახურეებს ჯამაგირი მოუმატოს; 20 ათას კაცს მოემატება ჯამაგირით, ამას გარდა სამუშაო დრო იმნაირად შეიცვლება, რომ მოსამსახურეებს მეტი თავისუფალი დრო და მოსვენება ჰქონდეთო. ყველა ეს გაიგეს მოსამსახურეებმა, იმედი მიეცათ, რომ ჩვენსას გავიტანთო და ამიტომ უფრო კაი გუნებაზე დადგნენო.

✡ ამავე საქმის თაობაზე გაზეთ „ინფორმაციონ“-ს სწერენ:

„თითქმის 20 წელიწადი გახდა, რაც რკინის გზის მოსამსახურეები და მუშები ჯამაგირის მომატებასა და სამუშაო დროს შემცირებას თხოუ-

დობენ. რამდენჯერ დაიმუქრნენ, მუშაობას აგგვეთავთო, მაგრამ ვერ შეასრულეს მუქარა. ეხლა კი, ეტყობა, აღარა ხუმრობენ. ყველა რკინის გზებზე რომ ერთბაშათ მუშაობა შესდგეს, დიდი ზარალი მოუვა იტალიას, ამიტომ მთავრობა ძლიერა სცდილობს, რომ რკინის გზის მოსამსახურეებმ თავიანთი სურვილი არ შეასრულონ.

იტალიაში ყველა რკინის გზები ოთხ დიდ საზოგადოებას ეკუთვნის. ადრიატიკისა, შუა-იტალიის, სიცილიისა და სარდინიის საზოგადოებათ. პირველი ორი საზოგადოების ხელში—10,000 კილომეტრის სიგრძე რკინის გზაა. ამ საზოგდოებათ გადაჭრით უარი უთხრეს მუშებს: ეხლა ისეთი გაჭირვება გვადგია, რომ თქვენს თხოვნას ვერას გზით ვერ შევასრულებთო. მთავრობა ძალით ვერას გახდება რკინის გზის მოსამსახურეებთან. საყოველთაო გაფიცვა რომ მოხდეს, მთავრობა იმას-და თუ მოახერხებს, რომ მოსამსახურეების ბადლად ჯარის-კაცებს უე-დაანებს და სამხედრო წესებს დააწესებს. მაინც, როგორცა სჩანსა მთავრობასაც ეს ხერხი უდევს გუნებაში. საყოველთაო გაფიცვა 12 თებერვლიდან უნდა დაიწყოს, ასე რომ ჯერ კიდევ კარგა დროა მანამდე და მთავრობას შეუძლიან მოლაპარაკება გამართოს და მოსალოდნელი დიდი უბედურება თავიდან აიცილოს იტალიას. ცანარდელის სამინისტრომ შარშანაც მოახერხა და აღელვებული მუშები დაამშვიდა. იმედია, ცანარდელი წელსაც მოახერხებს და ამ გაჭირვებიდან თავს დააღწევს. თუ ვინიცობაა, სამინისტრო ვერას გახდა და რკინის გზის მოსამსახურეები ვერ დაამშვიდა, მაშინ თითონ სამინისტროს დღენიც დათვლილი გეგონოთ. არა მგონია დიდხანს-და იბოგინოს".

სამხრეთ-აფრიკა. ლორდ კიტჩენერი აქამდე იმ აზრისა იყო, რომ ტყვე ბურები სჯაროდ უნდა დაისჯნენო. ამით „სუდანის გმირს" ეწადა, რომ ხალხი შეეშინებინა. მაგრამ ბოლოს დაინახა, რომ ხალხი არა შინდებოდა კი, უფრო ღელდებოდა და მეომარ ბურებს ათასობით ემხრობოდა. ინგლისის ჯარის მთავარ-სარდალს ეხლა ბრძანება გაუცია, რომ ბურები, რაც შეიძლება, საიდუმლოდ დასჯეთ ხოლმეო. ამ სასჯელის თაობაზე რისამე დაწერაც აუკრძალავს.

ამის თაობაზე ინგლისური გაზეთი „მორნინგ ლიდერ"-ი შენიშნავს: „ამ ახალი ბრძანების შემდეგ, ინგლისში სრულებით ვეღარ გავიგებთ კიტჩენერის უდივრობის ამბავსა და რაკი გაზეთებისა და საზოგადოების შიშიც აღარ ექნება, გულ-ქვავი მთავარ-სარდალი, როგორც უნდა, ისე მოიქცევაო".

ნატალის პირველ მინისტრსაც კარგი განკარგულება მოუხდენია: ამას იქით ყველა აჯანყებულნი სამხედრო სამართალში მიიცემიანო და არა სამოქალაქოში, როგორც აქამდე იყოო. უნდა იცოდეთ, რომ ნატალში სამხედრო წესები არაა დაწესებული და ამ კოლონიაში არც ომია, არც ამბოხება.

„მორნინგ ლიდერ"-ი ამის თაობაზედაც შენიშნავს: „ნატალის მინისტრის განკარგულება მეტის-მეტად უკანონო განკარგულებაა, ეს სულ ერთია, რომ ლონდონშიაც ბურების ყველა მომხრე სამხედრო სამართალს მიეცნენო".

✡ სამხრეთ-აფრიკის ომის საქმეში ბევრმა სახელმწიფომ დაარღვია ნეიტრალიტეტი: ყველამ მძლავრ ინგლისს მიჰკერძა, ყველამ იმის ხათრი შეინახა და ბურებს კი ტოლი დაუდო: პორტუგალიამ, ავსტრიამ, შეერთებულმა შტატებმა, გერმანიამ და სხვ. დიდი უსინდისობა ჩაიდინეს. გერმანიამ ხომ მეტი-მეტი უსინდისობა გამოიჩინა. ინგლისისათვის ჰაი-არად ჰგზავნიდა თოფ-ზარბაზანსა და ბურებს კი სასტიკად აუკრძალა. ბურებს კრუპის ქარხნისათვის ზარბაზნები შეეკვეთნათ, ფულიც კი გადაეხადათ, მაგრამ გერმანიის მთავრობას აეკრძალა ამ ზარბაზნების წადება; ნეიტრალიტეტს ვერ დავარღვევთო. ამაზე ხომ გერმანიის რეიხსტაგშიაც იყო ლაპარაკი, მაგრამ რა გამოვიდა, მთავრობამ ყურიც არ გაიბერტყა. გერმანიის მთავრობა ეხლაც არა ჰფიქრობს ნეიტრალიტეტის დაცვას. „ბერლინერ ტაგ."-ს სწერენ, რომ გერმანიაში ეხლაც დიდძალ ცხენს ყიდულობენ ინგლისის ჯარისათვისაო. გაზეთი უმატებს, ეხლა სხვა სახელმწიფოებმაც დაარღვიეს ნეიტრალიტეტიო. ამ ჟამად ინგლისი, გერმანიის გარდა, რუსეთშიაც ჰყიდულობს ცხენებსაო.

გაზეთი შენიშნავს: „ვეკითხებით გერმანიის მთავრობას, იცის ეს ამბავი, თუ არა. და თუ იცის, რატომ ბრძანებას არ გასცემს, რომ ინგლისს ცხენები აღარავინ მიჰყიდოს. განა გერმანიას ეკადრება ესეთი უსინდისო ქცევაო?"

ნორვეგია. ამ დღეებში ნორვეგიის სახელმწიფო საბჭომ, 43 ხმის უმეტესობით 35 წინაღმდეგ, ახალი კანონ-პროექტი დაამტკიცა: ამ კანონ-პროექტის ძალით ქალებს უფლება ეძლევათ, რომ ადგილობრივ სასამართლოებში ნაფიც მოსამართლეებად დაინიშნონ.

✡ ნორვეგიაშიაც გაჭირვებაა, აქაც ბევრი ხალხია უსაქმოდ დარჩენილი. ამ დღეებში ნორვეგიის დედა-ქალაქ ქრისტიანიაში, ქუჩა-ქუჩა 700 უსაქმო მუშამ პროცესიით გაიარა. ამ ხალხმა დეპუტაცია ამოირჩია და ნორვეგიის პარლამენტში გაგზავნა. პარლამენტის ბიურომ დიდის ხალისით მიიღო ეს დეპუტაცია. დეპუტაციამ, სხვათა შორის, გამოაცხადა მუშების მაგიერ, რომ უსაქმობის დროს, ყველაფერი, რაც კი ნორვეგიას გასაკეთებელი ექნება, შინვე კეთდებოდეს და არა საზღვარ-გარედაო. ამის შემდეგ პროცესია ქალაქის გამგეობისაკენ გაემართა. გამგეობაში მუშების დეპუტაცია ქალაქის პრეზიდენტმა და უფროსმა ქალაქის თავმა მიიღეს. მუშა ხალხი მეტად წყნარად და დინჯად იქცეოდა. პროცესიის წინ ბაირაღი მიჰქონდათ. ბაირაღზე ეწერა „სამუშაო გაგვიჩინეთ!"

ჰოლანდია. ბურების პატარა, მაგრამ დიდებულს, ერს არავინ არ გაუწია იმდენი დახმარება, რამდენიც პატარა ჰოლანდიამ გაუწია. გერმანიის იმპერატორმა პრეზიდენტ კრიუგერის მიღება ვერც კი გაბედა ინგლისის შიშით, პატარა ჰოლანდიის მთავრობამ კი დიდის პატივისცემით მიიღო პრეზიდენტი და ბინაც მისცა. მას აქეთ, რაც სამხრეთ-აფრიკის ომი დაიწყო, მთელ ჰოლანდიაში ნიადაგ კრებები იმართებოდა და დიდ თანაგრძნობას უცხადებდა ბურებს და იმათ ალალ-მართალ საქმეს. ბურების ქალებისა და ბავშვებისათვის ჰოლანდიელებმა ბევრი ლოტერეა გამართეს და ბევრი ფულიც მოაგროვეს. ჰოლანდიის დედა-ქალაქ ჰააგაში ეხლაც განუზრახავთ, რომ ბურების ქალებისა და ბავშვების სასარგებლოდ საერთაშორისო ლოტერეა გამართონ. ლოტერეის გამმართველთ ჰოლანდიის განთქმულ მხატვრებისათვის სურათები და ქანდაკება უთხოვნიათ. შემდეგ გერმანელი მხატვრებისათვისაც იგივე უთხოვნიათ. გერმანიაში 6,000 მხატვარს გამოუცხადებია, რომ დიდის სიამოვნებით მივიღებთ მაგ ლოტერეაში მონაწილეობასაო და ყველანი დიდის ხალით გიგზავნით სურათებსაო.

მიიღებენ თუ არა სურათებს ჰააგაში, ლოტერეას გაჰმართავენ და რაც ფული შემოვა, სულ ბურების წამებულ ქალებსა და ბავშვებს გაუგზავნიან.

ინგლისი. ბურების ცნობილმა მომხრემ ქ-ბ. ჰობჰოუზმა უჩივლა სამხრეთ-აფრიკის მოხელეებს, უკანონოდ მომექცნენ და ძალით სამხრეთ-აფრიკიდან ინგლისში გამომგზავნესო. მაგრამ პატიოსანი ქალი, ჯერ-ჯერობით მაინც ვერას გახდა, მისმა ადვოკატებმა სამხრეთ-აფრიკის უმაღლეს კომისარ ლორდ მილნერზე, ლორდ კიტჩენერზე, კაპშტადტის სამხედრო გუბერნატორ კუპერზედ და ლეიტენანტ ლოჰამზე (კუპერმა ქ-ნი ჰობჰოუზი ძალით სხვა გემზე გადაიყვანა და ევროპაში გაგზავნა) შეიტანეს საჩივარი. სამხედრო სამინისტრომ გამოუცხადა, რომ მაგნაირი საჩივრის შეტანის ნებას არ მოგცემთ, რადგანაც ეს კაცები ეხლა სახელმწიფო სამსახურში არიან სამხრეთ-აფრიკაშიო. მაშინ ქ-ნ ჰობჰოუზის ადვოკატებმა სამხედრო მინისტრსა ჰკითხეს: თქვენ თავზე ხომ არ იკისრებთ იმის პასუხის გებას, რომ ქ-ნ ჰობჰოუზს თავისუფლება წაართვეს და ძალით ინგლისში გამოჰგზავნესო; თუ უკანონო საქციელის პასუხს თქვენ აგებთ, მაშინ ქ-ნი ჰობჰოუზი თქვენ გიჩივლებთო. სამხედრო მინისტრმა ბროდრიკმა პასუხის გება არ იკისრა თავის თავზე და რაკი ბრალდებულნიც ინგლისში არ არიან, ამ საჩივრის შეტანაც აღარ მოხერხდა.

კონსერვატიული და იმპერიალისტური გაზეთები ძლიერ ჰკიცხავენ და სასაცილოდ იგდებენ ქ-ნ ჰობჰოუზს, სამაგიეროდ ლიბერალური გაზეთები მედგრად ესარჩლებიან სიმართლის მოყვარულ მოღვაწე ქალსა და სასტიკად ჰგმობენ მთავრობის უკანონო, ოსმალურ ქცევას.

ახალი ამბავი

◆ ამას წინად მკითხველებს ვაცნობეთ, რომ მიწად-მოქმედების მინისტრის უქვეშევრდომილესის მოხსენების გამო, უმაღლესად ებრძანა შესდგეს განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს ღონისძიებანი, რათა შავი ზღვის ნაპირები კავკასიაში გაცხოველდეს და **შემუშავდეს კულტურულად**. გარდა სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებისა, რომელთაც თავთავიანთი უფროსები დანიშნავენ, ამ კომისიაში, როგორც ახლა იტყობინებიან პეტერბურგის გაზეთები, გარეშე პირნიც უნდა გაერივნენ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ჩვენებით ანუ კომისიის თავმჯდომარის მოწვევით. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და კომისიის თავმჯდომარედ დანიშნა მიწად-მოქმედების მინისტრი ერმოლოვი. ამ ჟამად კომისიას შეადგენენ შემდეგი პირნი: სახელმწიფო საბჭოს წევრი ინჟინერ-გენერალი პეტროვი, მიწად-მოქმედების მინისტრის ამხანაგი ჰოფმეისტერი სტევენი, სახელმწიფო საბჭოს სტატს-სეკრეტარი რუხლოვი, სახელმწიფო საბჭოს სტატს-სეკრეტრის თანამდებობის აღმასრულებელი ტეცნერი, წარმომადგენლები: იუსტიციის სამინისტროსი—სენატორი შმემანი, ფინანსთა სამინისტროსი: სასაზღვრო დარაჯთა კორპუსის ექიმი-შაპიროვი და ფინანსთა სამინისტროს მდივანი პუტილოვი; შინაგან საქმეთა სამინისტროსი—ზვეგინცევი, გზათა სამინისტროსი—წყალთა და ხმელთა გზების და სავაჭრო ნავთ-სადგურების სამმართველოს უფროსი—ივანიცკი, სასახლის სამინისტროსი—კამერჰერი მარტინოვი, სახელმწიფო ქონებათა და მიწად-მოქმედების სამინისტროს დეპარტამენტთა დირექტორები: სახელმწიფო მიწის ქონებათა—ტიხეევი, სატყეო—ნიკიტინი, მიწად-მოქმედებისა—ლენინი, სახელმწიფო კონტროლისა—სახელმწიფო კონტროლის საბჭოს წევრი—კორიბუტ-დაშკევიჩი და ტფილისის საკანტროლო პალატის მმართველი შპერნბერგი. კომისიის საქმის-წარმოება მიენდო მიწად-მოქმედების მინისტრის მდივანს შვეცოვს.

◆ დღეს, შუადღის 12 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის რუს მწერლისა და პედაგოგის ა. ნ. **სოლოვიოვ-ნესმელოვის** სულის მოსახსენებლად.

◆ საგუბერნიო სამმართველომ **უკანონოდ დაინახა** სახლებზე გარდასახადის დაწესება, რადგანაც ქალაქი ახდევინებს ხარჯს მამულის მთელი შემოსავლის მიხედვით, მაშინ როდესაც ქალაქმა უნდა გადაახდევინოს ხარჯი ქონების წმინდა შემოსავლიდან. ამის გამო გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ გააუქმა ქალაქის საბჭოსაგან დადგენილი გარდასახადი—10 დეკემბერს 1901 წ., როგორც არა კანონიერი და დაავალა თვითმართველობას, რომ გარდაახდევინონ კანონიერი გარდასახადი, ე. ი. წმინდა შემოსავლიდან.

◆ 26 იანვარს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სხდომაზე, ქალაქის მდივანმა ბ. სტ. ქრელაშვილმა აღძრა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორის წესით დაიბეჭდოს როგორც შესწორებამდე, აგრეთვე საბოლოოდ ქალაქის ახალ **ხმოსნების ამომრჩეველთა სიები**. ბ-ნ ქრელაშვილის მოხსენებით, საუკეთესო იქნება, თუ ხმოსანთა არჩევნების უფლების ყველა მქონენი მოთავსებულ იქნებიან საერთო სიაში, რომელიც უნდა ორ ნაწილად იქმნას გაყოფილი: პირველ განყოფილებაში აღნიშნულნი იქნებიან სახლის პატრონები, ხოლო მეორეში—ის პირნი, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ექნებათ სავაჭრო ანუ სამრეწველო ცენზით; თითოეული აღნიშნული განყოფილება სიებისა განიყოფება კიდევ სამ ნაწილად ქალაქის სამ საარჩევნო ნაწილის მიხედვით. რაც შეეხება საბოლოოდ შესწორებულ სიების გამოცემას, ბ. ქრელაშვილი ამბობს, რომ თითოეულს საარჩევნო განყოფილების სიაში უკეთესი იქნება აგრეთვე ჯერ მოთავსდნენ სახლის პატრონები, და შემდეგ ვაჭარ-მრეწველნი. ამასთანავე ბ-ნმა ქრელაშვილმა აღძრა შუამდგომლობა, რომ დაბეჭდილი სიები გაეგზავნოს ამომრჩეველთ ადგილობრივ გაზეთების საშუალებით. გამგეობამ განიხილა ბ. ქრელაშვილის მიერ აღძრული საკითხი და გარდასწყვიტა: თავდაპირველათ შესასწორებელი და საბოლოოდ შედგენილი საარჩევნო სიები გამოცემულ იქმნეს იმ წესით, როგორც განაცხადა მდივანმა ქრელაშვილმა; დაიბეჭდოს 4800 ცალი სია, რომელთა ერთი ნაწილი გაეგზავნოს ამომრჩეველთ გაზეთ „კავკაზ"-ის საშუალებით, ხოლო მეორე ნაწილის შესახებ გამოცხადებულ იქნეს ყველა გაზეთებში, რომ მსურველნი სიებს მიიღებენ ქალაქის გამგეობის სადგომში, მოქალაქეთა, მოხელეთა და ვაჭართა სამმართველოებში და პოლიციის ყველა ნაწილის სამმართველოებში. გამგეობამ ამასთანავე გარდასწყვიტა სთხოვოს ტფილისის გუბერნატორს ამ წესით სიების დაბეჭდვისა და გამოცემის ნება.

◆ ამას წინად გაზეთებმა ხმა გავარცელეს, ვითომც სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა ჰქონდეს კავკასიის მინერალური სამკურნალო წყლები კერძო პირთ დასცეს იჯარით. ეს ხმა სიმართლეს მოკლებული გამოდგა.

◆ კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტმა შეაგროვა და სრულიად დაამზადა ექსპონატები პეტერბურგში გასაგზავნად, სადაც **მარტში უნდა გაიხსნას** საოჯახო მრეწველობის გამოფენა.

◆ საგუბერნიო მმართველობის ნებართვით გამოვიდა კერძო გამოცემა **სავალდებულო დადგენილებათა მეგზურები** რუსულს, ქართულს და სომხურ ენებზე—2,000 ცალი, რომლებიც გაეგზავნათ უბნის ბოქაულებს სახლის პატრონებისათვის დასარიგებლად.

◆ ქიათურის სამკურნალო ქსენონის გამგეს ექიმს ჯაფარიძეს განუზრახავს მოაწყოს ქიათურაში **სახალხო კითხვები** ჰიგიენიდან და მედიცინიდან.

◆ ბათუმის ოლქის ქვედა-აჭარის ნაწილში იხსნება **სასოფლო** ბანკი, რომელსაც ძირის თანხად 3000 მ. ექნება.

◆ საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულომ **დაამტკიცა** შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა ამ წლისა ქალ. დუშეთის და ახალციხისა, მხოლოდ ახალციხის გასავლის ხარჯთ-აღრიცხვიდან ამოშალა ტროტუარის გაკეთება საქალაქო ბაღის გარშემო.

◆ გუდაუთიდან სწერენ „ჩერნომ. ვესტნიკ"-ს, რომ გუდაუთის სასწავლებლიდან ამას წინად გამორიცხულ იქმნა სამი მოწაფე, რომელთაც **ხელით შეურაცხჰყვეს** მასწავლებელი.

◆ „პრიაზოვსკი კრაი"-ს სწერენ კავკავიდან, რომ კავკავის საპყრობილეში ამას წინად დიდი **უწესოება მოხდა**, რომელსაც სამწუხარო შედეგი ჰქონია. საქმე ასე ყოფილა: ტუსაღები გამოუშვეს წყლის დასალევად; ეზოში რუსებსა და ადგილობრივ მკვიდრ-ტუსაღებს ერთმანეთში ლაპარაკი მოუვიდა, რომელიც შემდეგ ჩხუბად გადაიქცა. როდესაც ჩხუბში ზედამხედველი ჩაერია დასამშვიდებლად, რამდენიმე კაცი ეძგერა იმას და რევოლვერი ჩამოგლიჯა. ხმაურობაზედ დარაჯის უფროსმა ხუთი ჯარის-კაცი გაგზავნა, რომელთაც ტუსაღებმა დიდი წინაალმდეგობა გაუწიეს. ეზოში ჩოჩქოლი და ყვირილი თან-და-თან მატულობდა. დამწყვდეულმა ტუსაღებმა კარები გამოამტვრიეს და ეზოში გამოცვივდნენ; საშველად კიდევ გამოითხოვეს ჯარის-კაცები. მოხდა შეტაკება, რომელშიაც ჯარის-კაცებმა ხიშტს მიმართეს. ბოლოს შვიდი ტუსაღი აღმოჩნდა ცოტად თუ ბევრად საგრძნობლად დაჭრილი ხიშტით, ხოლო ერთი—სასიკვდილოდ; 15 ტუსაღი დაბეჟილ-დაჭრილია თოფის კონდახებით; ყველანი საავადმყოფოში წაასხეს. ჯარის-კაცთაგან ერთი დაშავდა, რომელსაც ჩხუბის დროს ძალიან ჩაჰკრეს გულში. გამოძიება სწარმოებს.

◆ თიანეთის მაზრის **სასოფლო** ექიმი ბ. მუხარინსკი გადაყვანილ იქმნა გორის მაზრის სასოფლო ექიმად.

◆ გორის მაზრის სოფელ ჯავაში ექვსი კაცი გამხდარა ავად **მუცლათი**; მათ შორის ორი მორჩა, ერთი გარდაიცვალა, სამიც ჯერ ავად არიან.

◆ ჩვენ გვთხოვენ, ყურადღება მივაქციოთ შემდეგს. ხარფუხში ქალაქის საავადმყოფოს განყოფილებაში შემოუღიათ თავისებური წესები, რომლის გამოც ავადმყოფებს იღებენ აქ **10 საათის შემდეგ** და ზოგჯერ თერთმეტზედაც. ცხადია, რომ ამისთანა წესები საწყალი ხალხის შემავიწროვებელია, რადგანაც ექიმის ლოდინში უნდა იდგეს ქუჩაში. საჭიროა, რომ სასანიტარო-საექიმო საბჭომ დაავალოს ამ საავადმყოფოს გამგეს, რომ პატარა ადრე გაუღონ ხოლმე ავადმყოფებს საავადმყოფო, დილის ცხრა საათზე მაინც. არ შეიძლება ამასთანავე ყურადღება არ მიექცეს იმასაც, რომ ძირს სართულში, სარდაფში, საავადმყოფოს ქვეშ მოთავსებულია საზოგადო ფასიანი აბანო ღარიბთათვის. ამ აბანოს პატრონი დღეში ოთხ მანეთს იღებს შემოსავალს და აბანოს კი სანიტარულის მხრით, საძაგელს მდგომარეობაშია ინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხავშინ როდესაც ამავე შენობის ზემო სართში სასანიტარო ექიმი სცხოვრებს.

ღეს, 27 იანვარს, ოფიციალურად გაის და დაიწყებს მოქმედებას ახლად დაარსებული საურთიერთო დამხმარებელი ტფის ტეხნიკოსთა საზოგადოება. ამის გამო შუადღის 12 საათზე, რკინის გზის სატო სასწავლებლის სადგომში, საზოგადოების წევრთა და მიწვეულ პირთა თანადასწრებით გარდახდილ იქნება პარაკლისი.

◆ ამ თვეს, დილის 10 საათზე, ბაქომშტორამში უნახავთ **დაჭრილი** კაცი, რომე სავაჭრო სახლის, კუსის, გამგე ყოფი

◆ აქის გამგეობის წევრმა თ. ვ. ჩერქეზმა აღძრა კითხვა იმის შესახებ, რომ ლისის ფერშალთა შორის **მორიგეობა დესდეს** როგორც ცენტრალურს საავადმყოფოში, აგრეთვე იმის განყოფილებებში.

◆ მა ხმოსანთაგანმა განაცხადა გამგეობარომ აქამდის სისრულეში მოყვანილი რის ზოგიერთ ქონებათა მეორედ **დაფასების საქმე**, რომელთა დაფასებაც 1897 ს მოხდა, რის გამოც ქალაქს ზარალი სხვათა შორის, ხმოსანმა დაასახელა ლო საზოგადოების ცხენების და ვაგონსადგური, რომელიც დაფასებული იყო 50 მან., როდესაც უკანასკნელის ხელმეორე დაფასებით ბევრით მეტი ღირს; უსახელზოგადოება კი ძველის დაფასებით იხდის გადასახადს, რის გამოც ქალაქს ბევრი ება.

◆ დ 27 იანვარს, ღარიბთა სახლის სამეურნეო კომისიამ უნდა დაათვალიეროს შენებული **ნ. ზუბალოვისაგან ამ საქმისთვის [illegible]** სახლი.

◆ ამიერკავკასიის რკინის გზებზე გამოცემულ ცირკულიარით გზის დარაჯებს გრიგოლ სამოვს და აკიმ პუშკარევს, **ერთგულ სამსახურის გამო**, გამოეცხადათ გზათა უსის მადლობა და დაჯილდოვებულ იქნ ფულით. ორივემ სხვა-და-სხვა დროს გაჩინეს მატარებლები ხიფათისა და დამსხვრევისაგან, რადგანაც თავის დროზე მიიღეს ზომ მატარებლების შეჩერებისა და აცნობეს როსებს, რა შიში მოელოდათ მათ.

◆ ქალაქის იურისკონსულტის თანაშემწემ, რომ ც არ იკმარა მეორე განყოფილების ლის გადაწყვეტილება, რომლითაც მსაჯარიმა 50 მანეთით წამხდარი ყველმყიდავი შადინოვი, ამ გადაწყვეტილებ პროტესტი გამოაცხადა, რათა უფრო სხვ **დასაჯონ** შადინოვი.

◆ **თელავიდან** გვწერენ: ამ ზამთრის დასაწყისში უთვალავი, საიდამაც კი შემოჰქონდათ შეშა თელავასის, შეიკრა საქონლის ჩოჩრის მიზე ერთად ერთი კურდღელაურის გზა-და დავისუფალი, მაგრამ რადგანაც ქვემო მხარეს ყდღელაურში, კისისხევში და სხვა გლეხნი ჭცხობენ, მათ სახელმწიფო ტყე არ ეძლევათ რც შეშა აქვთ მოჭარბებული. ამისათვის ით შემოსული შეშა ვერ აკმაყოფილებდა რებთა მოთხოვნილებას; მაინც შეშის ფასმა აიწია. თითო პატარა ურემი 3—4 მანეთიდ ყიდებოდა. მხოლოდ ეხლა კი სუფევლგან გაიხსნა და ერთბაშად დაუწყეს ზიდვა წინდ გასასყიდ დამზადებულ შეშას. ამისათვის დღე სხვა-და-სხვა სოფლებიდან იმდენი შემოდის, რომ ვერც კი ეყიდებათ თავისაზე, რის გამო მისმა ფასმა შესამჩნევად ა.

◆ გუშინ ანვარს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ ხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების ბარამიძისა, რომელსაც მძიმედ კაცის დაჭრისა ქუთაისის ოლქის სასამართლომ ზოგიერთ უფლ ჩამორთმევით გარდაუწყვეტია პატიმართა გარეშელ რაზმში ორის წლის ვადით გაგზავნა. სამართლო პალატამ დამნაშავედ იცნო ბარამიძე დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

◆ პოლიცპირველს ნაწილში, სამხედრო ოლქის სასამართლოს სადგომის შესავალთან, გუშინწინ პოლიციელმა ახლად დაბადებული უპატრონოდ მიგდები ბავშვი მდედრობითი სქესისა. ბავშვი ტფილისბებით ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

◆ ტფილისქალაქის გამგეობამ 26 იანვრის სხდომაზე განიხილა ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიის დადგენა ავლაბრის პირველ დაწყებით სასწავლებლის ს ქ-ნ ჩიქოვანის ავადმყოფ ქალიშვილის შ. საქმე ის არის, რომ სასწავლებელთა გამგე კომისიის უკანასკნელ სხდომაზე ქალაქის სასანიტარო საქალაქო ინსპექტორმა განაცხადა, ჩიქოვანს ბავშვი პირვებით ავად გაუხდა და საშუალება რამ უნდა ვიხმაროთ, რომ ეს ავადმყოფობა სკოლის მოსწავლეებსაც არ გადაედვასო. კომისიამ გარდასწყვიტა წინადადება მიეცეს ჩიქოვანს თავისქალი გადამდებ სენით სამკურნალოში დაუყონებლივ გადიყვანოს, ანა და სულ წაიყვანოს სკოლის შენობიდან ბავშვი, რათა სწავლის საქმე არ შეფერხდესო. გამგეობამ გარდასწყვიტა წინადადება მიეცეს ჩიქოვანს, რომ თუ შესაძლებელი იქნება, სხვაგან გადაიყვანოს თავისი ქალი, ხოლო თუ ეს არ მოხერხდეს, დათხოვნილ იქნენ სკოლის მოსწავლენი, ვიდრე ჩიქოვანის ბავშვი ავად იქნება.

პრესსა

„ნოვ. ვრემია“ ეგებება ქართველ თავად-აზნაურთა დეპუტატებს: მათი მისვლის გამო, გაზეთი განსაკუთრებულს წერილს ბეჭდავს (№ 9297). ქართველები სიმპატიური ხალხია და მასთან საკვირვლად სტუმართ-მოყვარეო; იმედი გვაქვსო, პეტერბურგი ღირსეულად მიიღებს სამხრეთიდან მომავალ საყვარელ სტუმრებს და ამით დაუმტკიცებს მათ რუსების სიმპატიასა და თანაგრძნობასაო. ხოლო გაზეთების საქმე იქმნებაო—გამორკვევა კავკასიის საჭირ-ბოროტო საქმე—საკითხებისა. შემდეგ გაზეთი იწყებს ამ საკითხების განხილვას. წერილის ავტორი ორ ნაწილად ჰყოფს ამ საკითხებს: ზოგი საკითხები შეცდომისა და გაუგებრობის (недоразумѣніе-ს) მიზეზით გაჩნდაო; ზოგი კი მართლა საყურადღებო და შესასრულებელი არისო. მაგალითად, კავკასიელები ძალიან ჯავრობენ, სახელმწიფო სამსახურში გვავიწროვებენო. გაზეთის სიტყვით, ეს საყვედური გაუგებრობის ნაყოფია: სახელმწიფო სამსახურში უნდა იღებდნენ და აწინაურებდნენ არა ეროვნების მიხედვით, არამედ სხვა-და-სხვა ღირსება-თვისების მიხედვითაო. მაგრამ კავკასიელები იმით არ უნდა იყვნენ უკმაყოფილონი, თუ მათ მაინცა-და-მაინც კავკასიაშივე არ იღებენ სამსახურში: კავკასიაში სამსახური რუსებსაც კარგად შეუძლიათო და მათაც უნდა დაეთმოს ადგილიო... აგრეთვე გაუგებრობის ბრალიაო, ამბობს გაზეთი, ადგილობრივ ენების შევიწროების შესახებ საყვედურიო. კავკასიაში მრავალი სხვა-და-სხვა ენა არისო და ამიტომაც უფრო საჭიროა, სახელმწიფო ენამ (რუსულმა) გააერთიანოს კავკასიაო. ოფიციალურ დაწესებულებებში და მთავრობის სკოლაში რუსული ენა ბუნებრივი შემაერთებელი არის იმპერიის სხვა-და-სხვა ნაწილებისა და ერებისაო. მაგრამ რუსულის ენის ასეთი უპირატესობა, განაგრძობს გაზეთი,

> „სრულიადაც არ ნიშნავს ადგილობრივ ენების შევიწროებას. დაბალსა და საშუალო სკოლებში, ადგილობრივ პირობათა მიხედვით, მკვიდრთა ენების სწავლებას ადგილიც უნდა დაეთმოს და ამისთვის ფულიც უნდა გადიდდეს. სასურველია აგრეთვე, ამიერ კავკასიაში აღმოსავლეთის ენების ინსტიტუტი დაარსდეს“.

შემდეგ ავტორი ეხება თვით-მმართველობის საქმეს ჩვენში და ამბობს:

> „რაც შეეხება ადგილობრივ თვით მართველობას, უეჭველია ამ მხრით, რაც რუსეთის შიდა გუბერნიებისათვის არის ცნობილი სასარგებლოდ—საქალაქო თვითმართველობა, ერობა და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულება—ის კავკასიისათვის სასარგებლოა და უნდა მიენიჭოს კიდევაც. ვინ იქნება, მაშ, უკეთესი მსაჯული და მომწყობელი შინაური საქმეებისა, თუ არ ადგილობრივი მკვიდრი“!“

უფრო საყურადღებო საქმეებად ჩვენში წერილი სთვლის: მიწად-მფლობელობის უფლებათა მოუწესრიგებლობის, ავაზაკობისა და ციებ-ცხელების წინააღმდეგ ბრძოლას. ავტორის სიტყვით, ეს სამი გარემოება ყველაფერზე უფრო აფერხებს ჩვენში ცხოვრებას და ამიტომ მათ უნდა მიექცეს სრული ყურადღებაო...

დაბა-სოფლები

ს. კურდღელაური (თელავის მაზრა). რაც დრო და ხანი გადის, იმდენად უფრო ხშირდება სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედება. აღარც ეკკლესიებს ინდობენ ბოროტ-გამზრახველნი; კვირა ღამ, 20 იანვარს, გასტეხეს ამ სოფელში წმ. გიორგის სახელობაზე აშენებული (კავთის) ეკკლესია. თუმცა მას ყოველ ღამ ყარაული ჰყოლია დაყენებული, მაგრამ რადგანაც საყარაულო დაუმთავრებელია, ამისათვის იმ ღამეს ყარაული შინ წასულიყო. საათის მეორეზე საშინელი ძაღლების ყმუილი და ყეფა ასტყდა. ეკკლესია სდგას კარგა მოზრდილ მინდორზე და გარშემო მახლობელ მეზობლად არავინა სცხოვრობს. აი სწორედ ამისათვის გულ-დინჯათ შესდგომოდნენ ტაძრის გაცარცვას

მეორე დღეს ეს ახლად მოწყობილი (დიდი ხანი არ არის რაც ააშენეს) ეკლესია სამწუხარო სანახაობას წარმოადგენდა. ყველაფერი, რაც კი მოეხელებინათ გამოსადეგი და გამოუსადეგარი მათთვის, საეკლესიო ნივთები სულ წაეღოთ. სახელდობრ: ვერცხლის ფეშხუმი ვარსკვლავით, ვერცხლის განსაზავებელი,—პატარა თასი, ოდიკი ბაღდადში შეხვეული, სამი ბრინჯაოს მოზრდილი ჯვრები, დიდი ბრინჯაოს სანაწილე ტრაპეზზე დასადგმელი, დაფარნა, ორი ყუსტის კრუჟკა ფულით, მოზრდილი ბრინჯაოს ბარძიმ-ფეშხუმი ვერცხლში დაფერილი თავისავე ვარსკვლავით, მთელი სამგლოვიარო შესამოსი მღვდლისა, ერთი მხიარული ფილონი, ეკლესიის კრებულის ფული 49 მან. 40 კ. ერთი პატარა კაკლის ყუთი, რომელშიაც 5 თუმანი ყოფილიყო მღვდლის საკუთრება, ეკლესიის კუჰნის ქაღალდები, პატარა თეფში, რომელზედაც ღვთის-მშობლის სახე ყოფილა გამოსახული და სხვ.; აღსავლის კარების ფარდა შუაზე გაეხიათ, გვირგვინებისათვის ლენტები დაეჭრათ და სხვ.

—

ამაშუკეთი (შორაპნის მაზრა). 15 წელიწადზე მეტია, რაც სოფელს ამაშუკეთში პირველ დასაწყისი სამინისტრო სასწავლებელი გვაქვს. ამაშუკეთი დიდი სოფელია, რომელშიაც 899 კომლი და 4000-მდე სული ითვლება ეს სოფელი სწორედ ათვალწუნებული უნდა იყოს განათლებისაგან, თორემ ხუთმეტის წლის განმავლობაში თუ სხვებმა ახლად დაარსებული სკოლები მეორე და-მესამე წელიწადშივე ორ-კლასიან სამინისტრო სასწავლებლებად გადააკეთეს, ჩვენ რაღა დაგვემართა? მიზეზი ჩამორჩომისა შემდეგია: ის ხალხი, რომელსაც კარგი სასწავლებელი აქვს და თავიანთ შვილებს ზრდის, ჩვენზედ გონებრივათ წინ დგას და იცის, რომ სწავლა სინათლეა და უსწავლელობა—სიბნელე. ჩვენ-კი ღმერთმა არ მოგვცა ისეთი აზრი და თანხმობა, რომ ჩვენი ნაკლულევანება ჩვენვე გაგვესწორებინა და ის დიდი განძი, რომელიც ადამიანს გონებრივათ ამდიდრებს, ჩვენვე შეგვეძინა. სკოლების გადაკეთებისათვის თუ ჩვენ თვითონ არ ვიშრომეთ, სხვა რას დაგვედებს? ადგილობრივ ადმინისტრატორებს და ინტელიგენციას დიდი გავლენა აქვს საერთო საქმეებზე. თუმცა ჩვენი სოფლის ადგილობრივ ადმინისტრატორებმა ბევრჯელ გამოგვიცხადეს ყრილობაში; „გინდათ თუ არა ორ-კლასიანი სასწავლებელიო“, მაგრამ ხალხმა, მისდასაუბედუროთ, მიაძახა. არა, არაო. და იმათაც თავი მიანებეს: თუ არ გინდათ, როგორც გიწირავთ, ისევე სწირეთო. ეს იყო მათი უკანასკნელი სიტყვები და ამით გათავდა საქმე. ახლა მკითხველმა გამოიცნოს: ვისი ბრალი ყოფილა: ხალხის, თუ ადგილობრივის ადმინისტრაციისა? ჩვენ ხალხს სასწავლებელი რაღაც უბრალო მცირედ საქმედ მიაჩნია და სწავლა განათლებას სხვა გასართობს ამჯობინებს. სასურველია მთავრობა ჩვენს უგუნურებას არ მიჰხედავდეს და თავის განკარგულებით, ჩვენივე ხარჯით ორ-კლასიან სამინისტრო სასწავლებელს დაგვიარსებინებდეს ამაშუკეთში. ამოდენა სოფელს, ერთი პირველდაწყებითი სასწავლებელი კი არა, ორიც ვერ დააკმაყოფილებს. ამაშუკეთის საზოგადოება საკმაოდ შეძლებულია და ადვილათ შეინახავს ორკლასიან სასწავლებელს.

საკვირაო დღიური

რამდენიმე კვირის წინად ამ „დღიურის“ საშუალებით ჩემს მკითხველს მოკრძალებით ვაუწყე, ხმა დადის, რომ „ივერიის“ თვალსაჩინო მეცნიერი და პროგრესიული პუბლიცისტი ბ-ნი Plebs მალე ახალს მეცნიერულს გამოკვლევას დასწერს მეთქი, და ალალმართლის გულით ვუსურვე ამ ბურჯს მეცნიერებისას თავის მკითხველებისათვის რამდენიმე ისეთი ახალი ყვავილი კიდევ ეჩუქებინა, როგორც „პროგრესიული ელფერია“, რომელიც თურმე ევროპიული სიბრძნის უკანასკნელი დასკვნა ყოფილა (აბა, Plebs-ის მეტს, სხვა ვის ელოდინებოდა ეს ახირებული დასკვნა!). მაშინ გულში ცოტა ეჭვი გვქონდა, ვაი თუ ეს ხმა არ გამართლდეს და შევრცხვე მკითხველთან მეთქი, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ—ხმა ერისა, ხმა ღვთისაო—ეს ხმაც საუცხოვოდ და საჩქაროდ გამართლდა. ეხლა „ივერიის“ მკითხველებმა მეცნიერების დასკვნა ხომ იციან და იციან ბ-ნ Plebs-ის მოწყალე კალმის მეოხებით, მაგრამ ამის გარდა ისიც შეიტყეს, რომ ორგანიული თეორია საზოგადოებისა სხვა არის და ორგანიული თეორია სახელმწიფოსი სხვა. მართალია, ჯერ-ჯერობით სახელმწიფოსა და საზოგადოების ურიერთისაგან გარჩევა ვერავის ასწავლა Plebs-მა, მაგრამ ყველაფერს ხომ უეცრივ არ დაჰფქვას, მოთმინება იქონიეთ, ბ—ო, და Plebs-ი ძუნწი როდია, ამასაც გაგიმარტავთ. სამაგიეროთ ის ხომ შეიტყეთ, რომ საზოგადოების მეცნიერულს ორგანებრივს თეორიას საფუძვლად ანალოგია ჰქონია, მაშინ, როდესაც სახელმწიფოს თეორიის საფუძველს ძველადანვე მგზავსება თურმე შეადგენდა. მართალია, „მზგავსებასა“ და „ანალოგიას“ შუა ისეთივე განსხვავებაა, როგორც ჩვენებურს „კომშსა“ და იმერულს „ბიას“ შორის, მაგრამ ეს არაფერია, განა Plebs-ის მეცნიერება და ევროპის „наука“ ან „Ivissenschaff“-ი კი ერთი და იგივეა! ამას გვერდი ისე აუქციეთ, ვითომ არც კი დაგინახავთ, თქვენ კალმის რიხი გაშინჯეთ, რიხი!

—

ბ-ნ Plebs-ის შესახებ გავრცელებული ხმა რომ გამართლდა, ამის შემდეგ ეჭვის თვალით ველარც იმ ხმას ვუყურებ, რომელიც რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში დაავდეს, „Становой“-ს სახლში ეშმაკებმა დაიბუდესო. თუ ეს ხმა მართალი არ იყო, მაშ რატომ მისდგა იმ ქალაქის დიდი, პატარა, ნასწავლი, უვიცი, მღვდელი, ერი, მოხელე და რატომ დაუშინა ქვა საბრალო „Становой“-ს სახლს? ალბად, სტანოვის სახლში მართლა ეშმაკები ჰბუდობდნენ.

—

არც კი სოფლის მამასახლისები უნდა იყვნენ სამართლიანობის ერთგული დარაჯები. აი, სხვათა შორის, ერთს სოფელში რა სამამასახლისო ფსალმუნი შეუდგენიათ: „ქჩორთუ უბირაისა, ქჩორთუ უბირაისა, ქჩორთუ უბირაისა!

„მომეც მე, უფალო, მუცელი მთელისა სანოვაგისა შასაჭმელად, რამეთუ მუცლისა ჩემისა სიმცირისა გამო შევიწროებულ ვარ მამასახლისის მოვალეობათა ასრულებისათვის!

„ნომანიჭე მე, უფალო, სახე მრისხანებისა მეტყველი და ბაგენი სუცრუისა მთქმელნი, რამეთუ უსამართლობასა ჩემსა უწყობდეს ხელს სიტყვა ჩემი და სოფელი შიშითა დიდითა ძრწოდეს ჩემსა წინაშე!

„მიხსენ მე, უფალო, სიმართლის მოყვარულთა მეგობართაგან, რამეთუ არ უწყიან მათ სიტკბოება ქრთამისა და ძლიერება ბოროტებისა!

„მიხსენ მე, უფალო, მრავლისა განსაცდელისაგან, რომელსა შიგან მაგდებს მე სოფლის მასწავლებელი და დამქაშნი მისი!

„სოფლის კეთილის მსურველნო, ივლტოდეთ ჩემგან შორის და ნუ მიშლით ხელს მუცლისათვის ჩემისა სამსახურში!

—

ჩვენს პატარა და მოხდენილს სამშობლოს ბევრი უცნაური მოღვაწე და გულ-შემატკივარი ჰყავს. რომელ ქართველს არ გაუგონია ზ. ჭიჭინაძის სახელი... სხვისა რა მოგახსენოთ და ამ უკანასკნელ წელს, ჩვენი ზაქარია ისე ვერ წარმომიდგენია, რომ ხელში ყავარჯენი არ დაეჭიროს, იღლიაში წიგნები და კობულეთში. ან სხვაგან სადმე გამოჩენილებულ ქართველთა შორის არ ვამოგზაურო. დიდი ღვაწლი, დიდი შრომა მიუძღვის ბ. ზ. ჭიჭინაძეს მაგრამ რას იზამ, რომ ხშირად იმის ხელით გაკეთებულს კეთილ საქმეს რაღაც მასხარული კილო და ელფერი დასდევს თან. აიღეთ ბ-ნ ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული ქართული წიგნები გამოჩენილებულ ქართველებისათვის. ეს წიგნები მგონია სულ სრულიად არაფრით დაწერილი და თავში „ანბანი“ აქვეთ ჩართული, მოთომ ვისაც ის ხელში მოჰხვდება, კითხვას ისწავლის და შემდეგ ლექსებს წაიკითხავს. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ უნდა იცოდეთ რა ლექსი...

ავიღოთ მაგალითისთვის ლექსები, თქმული ხუსეინ-ხაზაზ ქამჯარაძისაგან, რომელნიც შემდეგი ტაეპით იწყებიან:

„სიღმეებს სიბრძნე მოჰყვება,
როგორც რამე ძველი ჭინკი (?),
ერთი დროი ჩვენც კი გვქონდა,
გაიხელი კაი ბიჭი“.

დიახ, კაცს ძალიან უნდა უკვირდეს, დახე, დახე ასოებიაგან სიტყვა გამოდის, რომ ამისთანა ლექსები წაიკითხოს, თორემ

შინაარსს ხომ ვერ გაიგებს და ვერა. ეს ლექსები, ბ-ო, გაპაჭმადიანებულ ქართველებისთვის არის გამოცემული... და ეხლა წარმოიდგინეთ, რამდენად შეაფერხებენ ისინი იმ საქმეს, რომელსაც ასე დაუდო გული ბ. ჭიჭინაძემ. ერთი ხელით საქმეს აკეთებდეს კაცი და მეორეთი კი ჰშლიდეს უკვე გაკეთებულს—როგორც გნებავთ და მე კი სწორედ უცნაურ სენად მიმაჩნია. ქამჯარიძის ლექსებს არც მუსიკა ეტყობა, არც აზრის სიმრთელეს არც ენის ცოდნა, ხშირად, თითქმის მომეტებულად რითმაც არსად არის— და ნეტავი, რა საჭირო იყო, ამ ლიტერატურულ სისაძაგლის დაბეჭდვა და გამოქვეყნება. გამოგიტყდები, მკითხველო, მე ვერ შევძელ და ვერ ჩავიკითხე ბოლომდე ქამჯარაძის ლექსები, ისე როგორც ბ. ქვარიანისა, და ამიტომ იქნება უვარგისობის სანიმუშოდ ბევრი ძალიან გამოსადეგი ლექსი იყოს... მე მგონია, რომ შემთხვევითაც რომ გადაჰფურცლოთ, მაინც ასეთს ლექსს წააწყდებით. აი, მაგ.,

„დაიფიქრე და მიყურე,
რა ფერია ჩემი ბედი,
ფირალობაში დავბერდი,
ვაჟი შვილი მყავდა ერთი.
ხის კატარიდამ (?) გადმოიჭრა,
კილამ გაიტეხა გვერდი!
ძირ ოხერმა ველარ ზიდა,
უსუსური წმინდა ტანში;
ორივე ხელებზე დავხედე,
დამეკარგა ჭკუა თავში“ და სხვა...

სწორეთ ლიტერატურული მორცხვობა უნდა ჰქონდეს კაცს დაკარგული, რომ ამ გვარი ლექსები გამოაქვეყნოს. ნეტავი გაგვაგებინა, რით ხელ-მძღვანელობს ბ. ზ. ჭიჭინაძე, ამ სისულელით რომ ჰკვებავს ჩვენს გათათრებულს ძმებს ოსმალეთის მხარეზე...

—

სალიტერატურო ეთიკის დარღვევა და უარყოფა ჩვენს მწერლობაში უკანასკნელს ხანებში რაღაც გადამდებ ავადმყოფობასავით მოედო „ივერიის“ თანამშრომლებსაც... აბა ბ. plebs-ს დაეკითხეთ, რისთვის არსებობს ეთიკა, ის უეჭველია რიხიანად და წარბშეუხრელად გიპასუხებთ: მეცნიერების უკანასკნელის დასკვნით სალიტერატურო ეთიკა მეტი ბარგია მწერლისათვის, ის სამწერლო კალამს ლაგამს უკეთებს, თავისუფლად ფრთის გაშლას უშლის და ამიტომ ნიჭს აფერხებსო. ნეტავი არ იქნება, შეშინებულისა შეულოცოს ვინმემ მეცნიერს, იქნება შიშზე აქვს ასე არეულ-დარეული აზრები და ლოცვამ გამოაბრუნოს!

მგზავრი.

თეატრი

ქ. ფოთი. სამშაბათს, 23 იანვარს, კლუბის დარბაზში ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილ იქმნა პირველად „დედა და შვილი“ ისტორიული ეტიუდი თავ. ი. ჭავჭავაძისა, მეორეთ „ზირტი-პირტი საქმე“ ხუმრობა ორ მოქმედებად გ. გუნიასი. წარმოდგენის შემდეგ ბ-ნ ა. მეგრელიძის ლოტბარობით ქალ-ვაჟთა მომღერალმა გუნდმა ლამაზად შეასრულა რამოდენიმე ქართული და რუსული სიმღერები. წარმოდგენამ საზოგადოთ მხიარულად ჩაიარა. საზოგადოთ ბევრი იცინეს „ზირტი-ბირტის“ წარმოდგენის დროს. ამ დროს საზოგადოების მეტი ყურადღება მიიქცია მოთამაშე $7^1/_2$ წლის ცქრიალა გრიშა ჩაჩანიძემ, რომელიც რამდენჯერმე ტაშის კვრითა და ვაშას ძახილით იქმნა დაჯილდოებული. მოხდენილად და ლამაზათ ითამაშეს ქ. ქ. ა. ჩაჩანიძემ, თ. მალანიამ და ქ. გოთოშიამ, კარგი იყვნენ აგრეთვე ბ. ბ. ლ. ახობაძე, თ. გოგიტიძე და გ. ხარაბაძე.

წარმოდგენას, რომლის შემოსავალი კარგი მიზნისათვის იყო გადადებული, საზოგადოება ბლომათ დაესწრო და ეს გარემოება მეტად ამხნევებს ჩვენს ახალგაზდებს, რომელთაც განზრახვა აქვთ მუდმივი ადგილობრივი სცენის მოყვარეთა წარმომადგენელი წრე შეადგინონ, მით უმეტეს, რომ ფოთის ახალგაზდა სცენის მოყვარე ქალ-ვაჟნი მონდომებული არიან თეატრის საქმეს სამსახური გაუწიონ და დრო-გამოშვებით საზოგადოებას უფასო წარმოდგენებიც მიაწოდონ.

X.

—

თელავი. მიძინებულ თელავსაც გამოეღვიძა 20 ამ თვეს და შემდეგ ისევ მიიძინა, მხოლოდ როდის გამოიღვიძებს კიდევ—ალლახმა უწყის. ეს დროებითი გამოღვიძებაც წარმოდგენის გამო გახლდათ. 20 ამ თვეს ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ, მ. აჯიმამუდოვის თაოსნობით წარმოდგენილ იქმნა პირველად თელავის საკრებულო დარბაზის სცენაზედ ქართულ-სომხური წარმოდგენა: ქართულად „გაცრუებული იმედები“, კომედია 2 მოქ. ქ. აზიანისა და სომხურად „ვინ არის დამნაშავე“ (Невольные преступники). უნდა ვსთქვათ, რომ წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა, როლებიც ყველამ კარგად იცოდნენ. დიდი მადლობის ღირსნი არიან ქ-ნნი მ. დ. ყვანგულოვისა, ს. ა. ალხაზოვისა და ე. მ. დანდუროვისა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს წარმოდგენაში. მეტად საინტერესოდ და მოხდენილად ჩაატარეს ის ადგილი, სადაც ნინო და კეკელა თავ-თავიანთ შვილების ქებაში არიან. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ცეკვა. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო, თუმცა ბილეთების ფასი რომ ნაკლები ყოფილიყო, მაშინ ხალხი მეტი იქნებოდა და გარდა ამისა მაყურებელთა შორის ღარიბებიც იქნებოდნენ.

წერილი ალაგირიდან

როგორც წინა წერილში ვსთქვით, ს. ალაგირში 400 კომლი მცხოვრებია, მათ შორის შორის ზოგი რუსია, ზოგი ოსი და ზოგიც ქართველი. რუსები ალაგირში წარსულის საუკუნის მეორმოცე წლებიდან მოსახლეობენ. მაშინ ისინი აქ მთავრობის განკარგულებით იყვნენ გადმოსახლებულნი რუსეთიდან და ალაგირის სახელმწიფო ტყვია-ვერცხლის მადნებზე უნდა ემუშავათ, 1864 წელს, უმაღლესის მანიფესტით ბატონყმობის მოსპობისთანავე, ალაგირის რუსები განთავისუფლდნენ სავალდებულო მუშაობისაგან. მათ მიეცათ მთავრობისაგან 2000 დესეტინა სახნავ-სათესი მიწა და მიენიჭათ სოფლის თვით-მმართველობა. მას შემდეგ რუსები ირჩევდნენ მამასახლისს, ჰქონდათ თავისი სასამართლო და სხვა სოფლის დაწესებულებანი· ოსები და ქართველები აქ რაჭიდან და კავკასის მთებიდან გადმოსახლებულნი. იმათ საკუთარი ადგილ-მამული არა აქვთ, მიწას რუსებისაგან ქირაობენ იჯარით, ხუთ მანეთად დესეტინას და იმის შემუშავებით სცხოვრებენ. ოსები და ქართველები დიდს ხანს გარეშე პირებად ითვლებოდნენ და სოფლის მართვა-გამგებლობაში არავითარს მონაწილეობას არ იღებდნენ. სამის წლის წინად ოსებმა და ქართველებმა სთხოვეს ოლქის უფროსს, ჩვენც ალაგირის მკვიდრ მცხოვრებლებად გვიცანით და მოგვანიჭეთ უფლება სოფლის საზოგადო საქმეების მართვისაო. ამის შესახებ მაშინდელმა ოლქის უფროსმა, კახანოვმა ვრცელი ბრძანება გამოსცა, რომლითაც ოსები და ქართველები სრულიად გათანასწორდნენ უფლებებით. ამ გარემოებას წინააღმდეგი გაუხდნენ რუსები და ოლქის უფროსის ბრძანება განსასჩივრეს კავკასიის მთავარ-მართებელთან. მთავარ-მართებელმა ოდნავ შესცვალა განსაჩივრებული საჩივრის შინაარსი და ეხლა ქართველებს და ოსებს თანასწორი უფლება აქვთ ს. ალაგირში; მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ მამასახლისი უთუოდ მკვიდრთაგანი უნდა იყოს ვინმე, მკვიდრ მცხოვრებად კი აქ მხოლოდ რუსები ითვლებიან.

ამას წინად ს. ალაგირში ოლქის უფროსის, ბ. ტოლსტოის, განკარგულებით გამართულ იქმნა ერილობა, რომლის სათაობირო საგანიც ერთ-ერთი ძველი ჩვეულების მოსპობა იყო. ოსებში ქალის გათხოვების წესი თხოულობს, რომ სასიძომ თავის სასიმამროს ქალის გამოსასყიდი ფული (რადი) მიუტანოს. რადის რაოდენობა შეთანხმებაზეა დამოკიდებული და ხშირად 600 მან. აღის. ეს გარემოება ხანდახან ისე ავიწროებს ხელ-მოკლე კაცს, რომ ან ცოლის შერთვაზე სულ უარი უნდა სთქვას იმან და ან ქალი მოიტაცოს. სხვათა შორის ეს ჩვეულება ოსებისაგან ქართველებსაც შეთვისებული აქვთ. ერილობამ დაადგინა, რომ რადი 100 მან. არ იყოს ხოლმე.

ამ ქალის გათხოვების მიძველებულის წესის წყალობით ეხლახან ერთი უბედურება დატრიალდა. ომიაძემ დანიშნა გაგნიძის ქალი და ნიშნობაში 120 მან. მოუტანა; მორიგებული ასე ყოფილიყვნენ. შემდეგ კი სასიმამროს შეეთვალა ომიაძისთვის, თუ 50 მანეთს კიდევ მომიტან, ქალს მოგათხოვებ თუ არა და შენ შენთვის, მე ჩემთვისაო. ომიაძეს მას შემდეგ ჯავრი სჭირდა გაგნიძისა და ახალ წლის ღამეს მთვრალი შეუვარდა გაგნიძეს სახლში. იქ მყოფთ საზარელი წივილ-კივილი ასტეხეს, გამოჩნდა პოლიციაც, რომელმაც ომიაძე შეიპყრო და სატუსაღოში გაისტუმრა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

25 იანვარი

პეტერბურგი. 25 იანვარს პეტერბურგში მოვიდა ავსტრიის ტახტის მემკვიდრე ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი. ვოკზალზე ერც-ჰერცოგს მიეგებნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე მემკვიდრე, დიდი მთავრები, მინისტრები და ავსტრიის ელჩი საელჩოს მოხელეებით. ერცჰერცოგმა ჩამოუარა საპატიო დარაჯთ და დრაგუნთა მე-26 პოლკის დეპუტაციას; ამ დროს უკრავდნენ ავსტრიის ჰიმნს. ერცჰერცოგი ხელმწიფე მემკვიდრესთან ერთად ანიჩკოვის სასახლეში წავიდა, სადაც მათ მიეგება ხელმწიფე დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული. აქედან ერცჰერცოგი ხელმწიფესთან ერთად წავიდა საზამთრო სასახლეში, სადაც იმას მიეგება ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული. ერცჰერცოგს ბინადრობა ექნება საზამთრო სასახლეში.

25 იანვარს გაიმართა წარმოდგენ მათ უდიდებულესობათა ერმიტაჟში.

ვარშავა. ფრანგულმა ფირმამ „ბატინიოლ“-მა გამოგზავნა ვარშავაში ინჟენერი, რომელსაც დაევალა შეისწავლოს ადგილობრივი პირობანი, რათა შეადგინოს მდ. ვისლაზედ მესამე ხიდის აშენების პროექტი.

ბიისკი. შუამდგომლობაა აღძრული, რათა დაამტკიცონ პირველ-დაწყებითი განათლების გამავრცელებელ საზოგადოების წესდება და აგრეთვე დრამატიული საზოგადოების წესდება.

ასხაბადი. შესდგა კომიტეტი გოგოლის იუბილეის დღესასწაულისათვის. გარდაწყვეტილია, მწერლის ქანდაკება დასდგან სავაჟო გიმნაზიის შენობასთან და გამართონ მუქთი წარმოდგენები ხალხისა და მოსწავლეთათვის.

სევასტოპოლი. ხელოსანთა გამგეობა ორმოცის წლის არსებობის შემდეგ უქმდება.

მიტავა. საგლეხო საქმეების კომისართა კრება, გუბერნატორის თავმჯდომარეობით, დასრულდა.

ლონდონი. „მორნინგ პოსტ“-ის სიტყვით, ბენდერბუშირში ყაზაბიტების მბრძანებელის ნათესავი დაეცა ერიოდს და დაიპყრო იგი.

ბუდაპეშტი. ერცჰერცოგის ფრანც-ფერდინანდის პეტერბურგში წასვლის გამო, „მადიარ ორსაგ“-ში გამოთქმულია სიხარული, რომ ავსტრო-უნგრეთი და რუსეთი ერთად მოქმედობენ ბალკანეთის საქმეებში და ამასთანავე ისპობა ის ეჭვიც, ვითომ ამ ორ იმპერიათა დაახლოვება იქნება მიმართული წინააღმდეგ სამთა კავშირისა ანუ გერმანიისა

სოფია. კარანჯულოვი, რომელმაც გუშინ საერო განათლების მინისტრი კანჩევი მოჰკლა, ამ სამი წლის წინად დათხოვნილი იყო გიმნაზიის მასწავლებელის თანამდებობიდან ნერვების ავადმყოფობის გამო და ხელმეორედ უნდოდა ამ თანამდებობაში შესვლა. ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მოხელეთაგან ერთმაც არ დაიფარა მინისტრი, თუმცა კარანჯულოვმა ექვსჯერ ესროლა რევოლვერი კანჩევს, ამასთანავე ბევრი იყო ცანკოვის პარტიის მომხრენი.

26 იანვარი.

პეტერბურგი. 24 იანვარს ხელმწიფე-იმპერატორი, დედოფალნი მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, მემკვიდრე და დიდი მთავარნი და მთავრინანი ბრძანდებოდნენ ალექსანდრინის თეატრში ქალ. ჟულევის ბენეფისზე.

24 იანვარს იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული ბრძანდებოდა კონსერვატორიის დიდ-დარბაზში საქველ-მოქმედოთ გამართულ იტალიანურ ოპერაზე.

მოსკოვი. მოსკოვის თავად-აზნაურობამ დაადგინა უქვეშევრდომილესი მადლობა მოახსენოს მის უდიდებულესობას სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამოსარკვევად კომისიის დანიშვნისათვის.

ნიჟნი-ნოვგოროდი. იტყობინებიან, რომ დაუმტკიცებიათ პროექტი იმპერატორი ალექსანდრე მე-II-ს ძეგლისა, რომელსაც ჰსდგამს ქალაქის თვით-მმართველობა.

ვარშავა. ჩეხიის მრეწველთ გარდაუწყვეტიათ გახსნან აქ სააგენტო.

ხარკოვი. სასამართლო პალატამ [illegible] თვით მოუმატა სასჯელი ტუსაღს დემენკოს[illegible]ელსაც 4-ს წლით „კატორგა“ ჰქონდა [illegible]აწყვეტილი და ამის შემდეგ განიძრახა [illegible] მოხელეთა. როდესაც დემენკოსათვის გამოეცხადებინათ გაწკეპლით დასჯა მეორესალის ცემისათვის, დემენკო დანით ხელშეჭვარდა სატუსაღოს უფროსს და დარაჯთა უფ[illegible], ხოლო ამათ რევოლვერებით შეაყენეს.

კრონშტადტი. ლონდონის ბირჟა[illegible]იწყო გემთა დაქირავება არხანგელსკიდან და ჩრდილოეთ ნავთ-სადგურებიდან ხის მას გადასაზიდავად.

ოდესსა. კონსტანტინეპოლი-ოდესსაში მიმავალი მგზავრთა გემი რუსეთის გადოებისა „ცესარევნა“ ბურგასის ახლო [illegible]ისა გამო დაეჯახა ქვას.

რეველი. გემების მიმოსვლა გა[illegible]და.

კურსკი. გუბერნიის თავად-აზნა[illegible] კრება გათავდა. წინამძღოლად დურნოვო [illegible].

ბერლინი. სამეურნეო საბჭოს [illegible]ზე კანცლერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომ[illegible] მტკიცედ უარ-ჰყო ის ხმა, ვითომც იმპერიისა და მის შორის სრული თანხმობა არ [illegible] საეკონომიო პოლიტიკის მესახებ. შემდ[illegible]ცლერმა განაცხადა, რომ გერმანიის მთავრო[illegible] შეთანხმდნენ პურის ბაჟის რაოდენობის შ[illegible] და აღნიშნა ის საზღვარი, რომელსაც არა აღემატებოდეს ბაჟი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მომატებული ბაჟი შეავიწროებს ხა[illegible]

თუ მთავრობა ვალდებულია დაიცვას სოფლის მეურნეობას, მაშინ მეურნეობ[illegible]მხრენიც უნდა დაეხმარონ მთავრობას. ბაჟის მატების გადამეტებული მოთხოვნა დაუშლის ან-პროექტის განხორციელებას.

პეტერბურგის ბირჟა 25 [illegible]რს

გაქსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,95
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,60
ბერლინზე „	46,80
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5—7%
4% სახელმწიფო რენტა	$^1/_8$ გაყიდ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	58 მყიდვ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$4^1/_2$ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	3 „
$3^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	გაყიდ.
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ჯაბადარი.

განცხადები

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილოაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლ[illegible] №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატე[illegible]-5 კაპეიკ[illegible]

ქ. ბათუმ[illegible]

იყიდება გაზეთი „ცნობის [illegible]რცელი“
სპ. ჰელიძის წიგნის მაღა[illegible], შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიოს ბაზ., სასწორის პირდაპირ. (0—5)

ზ ი
ნახშირის სა[illegible]ობი
იაგორ მამინაიშვ[illegible]სა
(საკუთარი ტუ[illegible]
გრის მოედანზე, [illegible]ნთან
ისყიდება საუკეთესო გა[illegible]ბული და მშრალი ნახშ[illegible]
შინ მიტანით 1 ფუ[illegible]0 კაპ.
ტელეფონი № 754. (წ.)

Дозволено цензурою Тифлисъ, 25 Января 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.